საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე: ქ.თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის №48-ში (ამჟამად ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.№152) მრავალბინიანი შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

ფიზიკური პირის, ვ. რევიშვილის თხოვნით, ჩვენს მიერ 2016 წლის აგვისტოში შემოწმებული იქნა ქ.თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის №48-ში (ამჟამად ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.№152) მრავალბინიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ.თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის №48-ში (ამჟამად ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.№152) მრავალბინიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. "ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების მიერ 2013 წლის ივნისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ალ.პასიკაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტის თვისებათა გამოკვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე 6გვ;
2. ტექნიკური დავალება 1გვ;
3. მიწერილობა.....1გვ;
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე..... 1გვ;
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე.....4 გვ;
6. მოედნის ტოპოგეგმა .... 1 ფურც;
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 1 ფურც;
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი..... 3 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 9 სართულიანი შენობა სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინა ბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, თითოეული 10 მ სიგრძის. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი

თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 - ნაყარი;
2. ფენა 2 - თიხა, ძნელადპლასტიკური;
3. ფენა 3 – კენჭნარი, ქვიშის შემავსებლით;
4. ფენა 4 - გამოფიტული თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების მორიგეობა;

ანგარიშში მოკლედაა გადმოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობების დახასიათება. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების დახასიათება და მათი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები (გარდა ნაყარი ქანისა). მიღებული შედეგების საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაციას ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე, რასაც ვეთანხმებით.

უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 5 მ სიღრმეზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

დასკვნა

ქ.თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის №48-ში (ამჟამად ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.№152) მრავალბინიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

სტუ, "გრუნტების მექანიკისა და
ფუძე-საძირკვლების" მიმართულების
ხელ-ლი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

გ.ჭოხონელიძე